# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 168. ‖ კვირა, 16 ნოემბერი 1903 წ. ‖ გაზეთის № 2325.

**მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.**

ყოველ დღიური გაზეთი

**„ცნობის ფურცელი“**

**სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ**

(წელიწადი მეცხრე)

**ფასი გაზეთისა გაგზავნით**

კავკასიასა და რუსეთში:
1 წლით—6 მ., 6 თვით—4 მ.,
1 თვით—50 კაპ.

საზღვარ-გარეთ
1 წლით—9 მ. 6 თვით—5 მ.,
1 თვით—90 კაპ.

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

**წლიური ფასის განაწილება**: ხელის-მოწერისათანავე 4 მ., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

**„მ ო ა მ ბ ე“**

(წელიწადი მეთერთმეტე)

**ფ ა ს ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა**

კავკასიასა და რუსეთში
1 წლით—10 მ., 6 თვით—6 მ.
3 თვით—3 მან.

საზღვარ-გარეთ:
1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ.,
3 თვით—5 მან.

ვინც **„მოამბეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

**წლიურ ფასის განაწილება**: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3. მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

**ალ. ყაზბეგისა.**

1904 წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა „საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყება **გურიიდან**. სურათები იქმნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ. **გარდა ამისა „მოამბის“ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ**

**ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით**

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

**ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.**

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციის ფოსტის ხარჯად 55 კ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ, 25 **დეკემბრამდე დაიკვეთონ**, რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის ღიდ ქუჩაზე. ტელეფონი №372

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редак. Моамбе и Цнобисъ Пурцели.

# ჩ ა ნ ჩ უ რ ა

ბოლოს, ბევრის წვალებისა და ლაპარაკის შემდეგ, პოლიციის ბოქაულმა აღმოაჩინა, რომ ოცდა სამი წელიწადია, რაც პოლიციელი პეტროვი ბაზარში მსახურობს, იქვე სცხოვრობს და აქამდის არ იცის ჩანჩურას ნამდვილი გვარი და სახელი.

მუნჯი ჩანჩურა იქვე იდგა და ფიქრობდა: „რა ვქნა, ეს სად მომიყვანეს, ან რა უნდათ ჩემგან?“

ჩანჩურას წლოვანება, სარწმუნოება, ტომი და ხელობა ბოქაულისთვის და პეტროვისთვის საუკუნო საიდუმლოებად დარჩა. როდის და რომელ ქალაქიდან ან სოფლიდან გადმოსახლდა? უცოლოა თუ... ან იქნება შვილებიცა ჰყავს? იქნება ჯერ კენჭიც არ ამოუღია არშინ ნახევრიან ჩანჩურასა? ან იქნება ჯერ შარშანდელი ხარჯიც კი არ გადაუხდია წონით ფუთ ნახევრიან ჩანჩურას? აბა, საიდან უნდა სცოდნოდა ეს საიდუმლოება პეტროვს, როდესაც ამისთანა სიბრძნე მხოლოდ ყოვლად ძლიერმა და ყოვლის მცოდნე პასპორტმა იცის? ეს კიდევ არაფერი: ის როგორღა მოხდა, რომ ოცდა სამი წელიწადია, რაც ჩანჩურა ქალაქში სცხოვრობს და პოლიციის დავთრებში ჯერაც არ არის ჩაწერილი! ამისთანა უკანონობით გაბრაზებულმა ბოქაულმა დაადგინა: „უცნობის ტომისა, გვარისა და სარწმუნოების კაცი—ჩანჩურა გადასახლებულ იქმნას თავის სამშობლოში“. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, როცა თვითონვე გაიგო თავის დადგენილების „სიბრძნე“—წამოდგა და სთქვა:

— გაანთავისუფლე, მაგრამ თვალ ყური ადევნე და თუ კიდევ მოიტაცა ხორცი, მაშინვე აქ მომიყვანე. შენ კი ფრთხილად იყავი, თორემ... ეგრე როგორ შეიძლება? ეს სამსახური კი არა, ეგ... ეგ.. ოცდა სამი წელიწადი! წადი, მაგრამ, გაფრთხილდი!

ჩანჩურამ ერთი საათის წვალებისა და ბოქაულის ლაპარაკიდან, რასაკვირველია, ვერაფერი გაიგო.

მოღიმარე და გახარებული ჩანჩურა პატარა და ჩქარის ნაბიჯით ისევ ბაზრისაკენ მიცუნცულებდა. წინ დიდი და ნელი ნაბიჯით პეტროვი მიუძღოდა.

„გამაგდებენ, უეჭველად გამაგდებენ, ან უფრო ცუდ უბანში გადამიყვანენ,—ფიქრობდა პეტროვი და მაშინვე გადასწყვიტა: რაც უნდა მიყონ, თუნდ მომკლან, სულ ერთია, მაგრამ ამალამ უეჭველად ქურდი უნდა დავიჭირო. არ დავიძინებ, ორ დღე და ღამეს არ დავიძინებ და დავიჭერ“.

როდის და საიდან გაჩნდა ბაზარში ჩანჩურა—ეს არც ერთმა ბებერმა ყასაბმა არ იცის, მაგრამ მთელი ბაზრის უბანი იცნობს მუნჯ ლილიპუტს. ჩანჩურას ცემა-ტყეპა, მისი დილიდან საღამომდე ბაზარში ხეტიალი, თორმეტის წლის არტუშასთან და იმის მეგობარ ძაღლ-მურასთან ჩხუბი ყასბებისთვის ისეთივე ყოველ დღიური მოვლენაა, როგორც სალდათები, დედაკაცები, მზარეულები, მათი მოტყუება და პოლიციელის პეტროვის ყვირილი. ყველა და ყოველ დღე ჰხედავს მობუზულ ჩანჩურას, იმის მელოტს, მუშტის ოდენა თავს, უწვერ-ულვაშო, დალმეჭილ, ნაოჭებიან და მიწის ფერ პირისახეს, პატარა, ლობიოს ოდენა, ღრმად ჩამძვრალ, ზოგჯერ მოტრიალე, და უფრო ხშირად კი მოღიმარე თვალებს, მაჯის სისქე, პირისახეზე უფრო შავს და გამხმარ კისერს, სამი გოჯის სიგძე და გამოურკვეველ ფერის ტიტველა ფეხებს და ას სხვა-და-სხვა ნაირ ძონძებისაგან შეკერილ შარვალს, რომელიც ისე მოკლეა, რომ ისედაც ჯუჯა ჩანჩურას მუხლებამდე ძლივსა სწვდება.

არტუშას მეგობარი მურა ჩანჩურას შალვარს საშინლად ემტერება და ამიტომ შარვლის პატრონს მის დაკერებაზე ბევრი დრო ეკარგება. ჩანჩურამ ძალიან კარგად იცის, რომ უშარვლოდ გარედ გამოსვლა არ შეიძლება, რადგანაც მისი მეორე და მურაზე არა ნაკლები მტერი—პოლიციელი პეტროვი მათრახით სცემს და ბაზრიდან გააგდებს; ეს კი ჩანჩურასთვის უდიდესი სასჯელია, რადგან ჯერ ერთი, ვინ იცის, ბაზარს იქით არის რამე თუ არა, და თუნდაც იყოს, უეჭველია, ყასბები მაინც არ იქნებიან და თუნდაც რომ იყვნენ—ისინი ჩანჩურას არ იცნობენ

## მაკედონიის ამბები



მაკედონელების მისვლა ბოლგარიაში.

და, მაშასადამე, არც ცხვრის ფილტვებს მისცემენ. ერთხელ ჩანჩურას ვილამაც ორი დამპალი ქალამანი აჩუქა, მაგრამ იმავ საღამოს მურამ წაართვა და იმის გარდა არავის ალარაფერი უჩუქებია. მაგრამ, არა, ერთ დროს ჩანჩურას ერთი ქუდის მაგვარი ტყავიც ჰქონდა, მაგრამ,... არა, ის საძაგელი მურა რაღა სულ ტყავს, ჩანჩურას კანჭებს და შარვალს ემტერება!

არც მურა და არც პეტროვი ისე ძლიერ არ აწუხებენ ჩანჩურას, როგორც ერთ ბებერ ყასბის თორმეტი წლის ბიჭი— ეშმაკი არტუშა. ერთხელ,—ჩანჩურამ, რასაკვირველია, არ იცის, რამდენი წლისა ან დღის წინად მოხდა ეს ამბავი,—ერთხელ ჩანჩურამ, ჩვეულებრივად ცხვრის ფილტვის მოტაცება განიზრახა. ბებერი ყასაბი დახლთან იდგა და პურსა სჭამდა·



იაპონია.—იაპონიის სამხედრო ზღვაოსნები.

ჩანჩურამ ფილტვი აილო, უბეში ჩაიდო, მობრუნდა და გაქცევა დააპირა, მაგრამ სწორედ ამ დროს საიდანღაც საძაგელი არტუშა ამოძვრა, ჩანჩურას გზა გადაუღობა, ყასბის დიდი დანა მოუქნია და... მას შემდეგ ჩანჩურას ათის მაგივრად რვა თითი ღა დარჩა.

ბაზარში ყველაზე ადრე ჩანჩურა გამოდის და ყოველ დღე მხოლოდ იმას ჰხედავს, რომ დუქნებში დილით აუარებელი ხორცი აწყვია, მერე ყასბები ამოდენა ხორცს ნაჭერ-ნაჭერად სჭრიან და ვილაც ვილაცეებს ურიგებენ. საკვირველი ის არის, რომ ყასბები ამათაც ისე კი არა სცემენ, როგორც ჩანჩურას, არამედ თავაზიანად დუქანში შეჰყავთ, უშველებელ ხორცის ნაჭრებს აძლევენ ‑ ხმა ამოუღებლივ ისტუმრებენ. მართალია, ვილაც ვილაცები ყასბებს ხორცის სამაგიეროდ შავს და თეთრ ქესტის ნაჭრებს აძლევენ, მაგრამ მაინც საკვირველია, რად უნდათ ყასბებს ეს ქესტის ნაჭრები? ჩანჩურას კარგად ახსოვს, რომ ერთხელ იმასაც ჰქონდა ერთი პატარა შავი ქესტის ნაჭერი. ისიც ახსოვს, რომ ის ქესტის ნაჭერი მეპურე სიმონამ წაართვა და სამაგიეროდ პურის დიდი ნაჭერი მისცა, მაგრამ ჩანჩურამ ქესტის ნაჭრების მნიშვნელობა ეხლაც არ იცის. საკვირველია, რომ არტუშაც სწორედ ისე იქცევა, როგორც სხვები, მაგრამ მურას რაღა ღმერთი გაუწყრა, რომ ჩანჩურას გარდა არავის ფეხებს და შარვლებს არ ემტერება? ჩანჩურას რამდენჯერმე უნახავს, რომ ვილაც ვილაცებს მურასთვის კარგებიც მიურტყავთ, მაგრამ მურას ხმაც არ ამოუღია. პირიქით, ისეთ ტირილს და წკმუტუნსაც მორთავდა ხოლმე, რომ იმის მეტოქეს ჩანჩურასაც კი შეებრალებოდა და ღიმილით მასთან ნუგეშის საცემლად მივიდოდა, მაგრამ სხვის ჯავრს უმადური მურა ყოველთვის ჩანჩურაზე იყრიდა ხოლმე.

სანამ ბაზარში ხალხი ირევა, ჩანჩურა ქუჩის დასაწყისში დადის. ქუჩის ბოლოში გასვლა კი საშიშოა, რადგანაც პეტროვი ყოველთვის იქა დგას და თუ ჩანჩურა დაინახა, უეჭველია გამოუდგება, მათრახის ქნევას დაუწყებს და ყვირილით ერთ ალიაქოთს ასტეხავს.



იაპონია.—იაპონიის აფიცრები აღლუმზე

— Я те покажу! Я-а-а те покажу!—ყვირის პეტროვი და მათრახის ქნევით ნახევარ საათობით დასდევს მშიერ ჩან-



იაპონია.—იაპონიის ჯარი აღლუმზე.

ჩურას, მაგრამ კიდევ კარგი, რომ არშინ ნახევრიან ჩანჩურას მარდი ფეხები აქვს.

პეტროვისაგან ჩანჩურას ტროტუარზე გავლა სასტიკად აქვს აკრძალული. ჩანჩურამ უპეტროვოდაც იცის, რომ ხალხში გარევა არ შეიძლება და ამიტომ ყოველთვის შუა ქუჩაზე დადის, რისთვისაც მეეტლეებისა და მედროგეებისაგან ყოველ დღე არა ერთი და ორი შოლტი ხვდება, მაგრამ ამას ჩანჩურა არაფერ ყურადღებას არ აქცევს, რადგანაც, უეჭველია, მას შოლტით ცემაც ისევე ესაჭიროება, როგორც ყასბების მუშტები, პატარა ბიჭების სილები, პეტროვის მათრახი, მურას კბილები და არტუშას ათასნაირი ოინები.

როცა შუა დღე გადადის და ყასბები ხორცის „დარიგებას“ ათავებენ, მაშინ ჩანჩურას დროც მოდის. ჩანჩურას ერთი მსხვილი და წვეტიანი მავთული აქვს. ამ შამფურის წართმევა რამდენჯერმე სცადეს ყასბებმა, მაგრამ ამაოდ: ჩანჩურა თავს მოიკლავს და ამ შამფურს არავის დაუთმობს. ეს შამფური ჩანჩურას შუა დღემდე სადღაც აქვს დამალული, შუადღის შემდეგ კი ბაზარში გამოაქვს, პირველი დუქნის კარების წინ იტუზება და დამნაშავის ღიმილით და მურასებურის წკმუტუნით ყასაბს თავის მოსვლასატყობინებს. თუ ღიმილით და წკმუტუნით ვერას გახდა, მაშინ თავის შამფურს ჩუმად და ნელ-ნელა ფანჯარაში აპარებს, ხორცის რომელსამე ნაჭერს ჩხვლეტას დაუწყებს და თან-და-თან წკმუტუნსაც უმატებს. თუ ყასაბი კარგ გუნებაზეა, ჩანჩურას კისერში ხელს წაავლებს, ციბრუტივით დაატრიალებს, შემდეგ ორიოდესაც წაუთაქებს და სამაგიეროდ ფილტვის პაწაწინა ნაჭერს აძლევს. ჩანჩურა ამ ნაჭერს დამპალ ჩვარში ახვევს, უბეში იდებს და მეორე ყასაბთან მიდის. თუ კარგი დარია და კარგი ვაჭრობაც იყო და, მაშასადამე, ყასბებიც კარგ გუნებაზე არიან, ყველა თითო-თითოს წაუთაქებს და სამაგიეროდ ფილტვის ნაჭრებს აძლევენ. მაგრამ რადგან ერთ და იმავე დროს კარგი ვაჭრობა და კარგი დარი იშვიათია, ამიტომ ჩანჩურაც თავის პატარა მუცლის კმაყოფილებასაც ძალიან იშვიათადა ჰგრძნობს. როცა ჩანჩურა ათიოდე ფილტვის ნაჭერს შეაგროვებს, მაშინვე შინ წასასვლელად ემზადება მაგრამ... არა, რაღა სწორედ ამ დროს ამოუდგებიან ხოლმე წინ უკვე კმაყოფილ ჩანჩურას არტუშა და მურა! ჩანჩურამ, რასაკვირველია კარგად იცის, თუ რა განსაცდელი მოელის იმის დღევანდელ სადილს და ამიტომ არტუშას და მურას დანახვაზე მაშინვე ქვევით გარბის. იმის საშინელი სისწრაფით მოელვარე ფეხის გულებს კვალ და კვალ მისდევენ არტუშა, მურა, მისი მხიარული წკმუტუნი, ყასბების ხარხარი და პეტროვის მჭექარი მუქარა:

— Я те покажу! Я-а-а те покажу!

ჩანჩურამ იცის, რომ არტუშას და მურას ვერსად წაუვა და ამიტომ ცოტა ხნის შემდეგ ტალახიან და მტვრიან ქუჩაზე პირქვე წვება და ორივე ხელებით ჩვარში გამოხვეულ ფილტვის ნაჭრებს იცავს, მაგრამ ამაოდ. არტუშა ჯერ ზურგზე დააჯდება, მურა კისერზე, ცოტა ხანს შეისვენებენ, შემდეგ არტუშა სულ განაბულ ჩანჩურას გულაღმა გადმოაბრუნებს, ხელებს დაუჭერს და თავის მეგობარს განკარგულებას აძლევს:

— მურა, იშჩი!

მურაც ჩანჩურას პირდაპირ უბეში ეცემა, დაუწყებს კბენას, კაწვრას და ცოტა ხნის შემდეგ გამარჯვების ნიშნად ჩვარში გამოხვეულ ხორცს ზევით მოარბეინებს. ყასბები გამარჯვებულს და ამაყად მომავალ მურას სიცილ-ხარხარით და ტაშის კვრით აჯილდოვებენ. დაღონებულს და თვალცრემლიან ჩანჩურას კი აქეთ-იქიდან უყვირიან:

— აი, შე მართლაცა და ჩანჩურავ, შენა!

— ი პატარა ძაღლმა როგორ გაჯობა, შე საწყალო, შენა?

ჩანჩურა მტვერს და ცრემლებს იწმენდავს და მეორე დღემდის ხორცის თხოვნას ველარ ჰბედავს. არტუშა ჩანჩურას დიდ ცხვირსაც ძალიან ემტერება. ხშირად მოღიმარე ჩანჩურას ცხვირში ხელს წაავლებს ხოლმე, დუქნიდან დუქნამდე დაჰყავს და წვრილი ხმით გაჰკივის:

— მოწყალება მოიღეთ. ღმერთმა დიდ ხანს გაცოცხლოთ, გაგზარდოთ... ღმერთმა გადღეგრძელოთ, ღმერთმა ჩანჩურას



იაპონია.—იაპონიის ჯარის სადილობა აღლუმის დროს.

ხელა მოგყაროთ. მოწყალება მოიღეთ. საწყალ ჩანჩურას სამი დღე არაფერი უჭამია, მოწყალება მოიღეთ

— ღმერთი მოგცემს, ღმერთი მოგცემს! — უპასუხებენ ზოგიერთნი. ზოგნი კი ისევ ფილტვის ნაჭრებს აძლევენ, მაგრამ რას იზამს ჩანჩურა, როცა საძაგელი მურა იქვე დარბის და არტუშას ცოტა ხნით მაინც არ შორდება?

ზოგჯერ კიდევ არტუშა ჩანჩურას ყელზე გძელ კანაფს აბამს, დუქნებში დაჰყავს, ტაშს უკრავს და მღერის:

— აი მაიმუნ, მაიმუნ, ოინ მაიმუნ, მაიმუნ!

ჩანჩურა კი ამ დროს ორივე ხელებს მაღლა იშვერს, ერთ ადგილზე ტრიალებს, პატარა ფეხებს აქეთ-იქით იქნევს და განუწყვეტლივ იღიმება. მურა კი მოთამაშე ჩანჩურას გარშემო ურბენს, მხიარულად წკმუტუნებს, ჰყეფს, უკანა ფეხებზე დგება და „სლუჟს აკეთებს“. ყასპები ტროტუარზე დგანან, პატარა ბიჭები „ცირკს“ უკან დასდევენ, ხარხარებენ და ყვირიან.

— მალადეც, ჩანჩურ! მალადეც, მალადეც!

ჩანჩურას ესმის ეს ქება და გაორკეცებულის ძალით სცდილობს: ხტის, წკმუტუნებს და თავის პაწაწინა ხელ-ფეხს უფრო მეტის სისწრაფით იქნევს აქეთ-იქით. როცა „ცირკი“ თავდება, გახარებული მურა ხორცის წითელ ნაჭრებს შეექცევა, დაღონებული და დაღლილი ჩანჩურა კი იქვე დგას, მურას შურით უყურებს და ტუჩებს აცმაცუნებს!

ჩანჩურას მტრების გარდა მეგობარიცა ჰყავს. აი, მაგალითად, მეპურე სიმონა ჩანჩურას მეგობარი რომ არ ყოფილიყო, განა თავის თბილ სათონეში ყოველ ღამე დასაძინებელ ადგილს მისცემდა? განა დღეში რამდენჯერმე თბილ წყალს დაალევინებდა და ქვასავით გამხმარ პურს აჭმევდა? ჩანჩურას კარგად ახსოვს ის დრო, როცა სიმონამ ერთი დაგლეჯილი ტომარა აიღო, თავისა და ხელების ამოსაყოფად ორივე კუთხე და შუაგული ამოუჭრა, შიგ ჩანჩურა ჩასვა და ახალი ტანისმოსით ბაზარში გაისტუმრა. მართალია, რაც ჩანჩურა ხორცს შოულობს, სულ სიმონა სჭამს, მაგრამ სად ათიოდე ფილტვის ნაჭერი და სად ფიცრულ სათონეში ღამის გათევა.

ამ ცოტა ხანებში ბაზარში დიდი სასწაული მოხდა. ერთი კვირა იქნება, რაც არტუშა და მურა ჩანჩურას დაუმეგობრდნენ. არტუშას ყოველ საღამოს მურა და ჩანჩურა სადღაც მიჰყავს და უკან მხოლოდ ერთი ან ორი საათის შემდეგ ბრუნდებიან. მურა ყოველთვის წინ მიდის და პირით ხელცახოცში გამოკრული ფილტვი მიაქვს. უკან არტუშა და მოცინარე ჩანჩურა მისდევენ. არტუშას არავინ ეკითხება — სად და რად დაჰყავს თავისი მეგობრები. ყველამ კარგად იცის, რომ რამდენსამე დღის შემდეგ ახალ „შტუკას“ ჰნახავს და ამიტომ მოთმინებით უცდიან არტუშას „ცირკს“. სამი დღეა, რაც ჩანჩურა არც ხორცს თხოულობს და აღარც სიმონას გამხმარ პურსა სჭამს. ის მხოლოდ ჩვეულებრივად ქუჩაში დადის და საღამომდის თავის ახალ მეგობრებს უცდის.

მ. ადამაშვილი.

(დასასრული იქნება)




— შორს, შორს, თორემ ამ მუშტს ხომ ჰხედავთ! არ წაბილწოთ ჩვენი წმიდათა წმიდა!..

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Дов. ценз. Тифлисъ, 14 ноября 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამოც. ქართ. ამხ—ისა.